

საქართველოს კანონი

“შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №33) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამხედრო ძალების, უშიშროების სამსახურის, პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირებზე, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეებზე.”

2. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულების და სამართალდამცავი ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში; დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება``.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.